ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13-40

"16" თებერვალი 2018 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-32 დადგენილება.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **6** აპრილის **№7-32** დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილება არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება ასევე არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენისა და გამოსწორების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, ჩაბარების და სასამართლოში გადაგზავნის წესს. ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილება მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების რეგულირების საგანს, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №7-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.